



სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/32 13-04. 2021 წ.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 8 აპრილის №01-04/31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

I. შეტანილ იქნას ცვლილება უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 8 აპრილის №01-04/31 ბრძანებაში საგაზაფხულო სემესტრში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის, დოქტორანტურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური საგამოცდო პროცესის დისტანციური, ცენტრალიზებული წესით ჩატარების შესახებ და ამ ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოსა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, საინჟინრო - ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე (უმაღლეს მათემატიკაში, მათემატიკური ანალიზში), საინჟინრო - ტექნიკურ ფაკულტეტზე (კომპიუტერულ გრაფიკაში და საამშენებლო ხაზვაში) და აგრარულ ფაკულტეტზე (ფიზიკაში, მათემატიკაში) შუალედური გამოცდები ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის საგამოცდო სექტორის ( ასოც. პროფ. ლ. ზივზივაძე, დ. ხუსკივაძე) ორგანიზებითა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის (№ 699) დადგენილების მე-3 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის ბრძანებით ( № 159323 ) გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

II. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანატში.

III. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

IV. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.

საფუძველი: საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის საკვები პროდუქტების ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფ. მანანა ქარჩავას მოხსენებითი ბარათი, ფაკულტეტის დეკანის თანხმობა.



*[Handwritten signature]*

პროფ. რ. კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი:

*[Handwritten signature]*

იმერი ბასილაძე